ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 16

ქ. ქუთაისი 2 თებერვალი 2023 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ შპს ,,პარკინგსერვისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ გამრეკლიძის სახით სახით, მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,დაიმერი“, (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერიან ფურცხვანიძე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა აწარმოა მოლაპარაკება მიმწოდებელთან, გამარტივებული შესყიდვით საკუთარი სახსრებიდან მონეტარული ზღვრების დაცვით შესყიდვაზე;

	საქონლის დასახელება	კოდი	განზ.ბა	რაოდ.	ერთ.ფასი	საერთ.ფასი
1	კონვერტი დიპლომატი	30199230	ცალი	5000	0,09	450,00
2	კონვერტი ა5	30199230	ცალი	10	0,25	2,50
3	სტეპლერის ტყვია	30124400	ცალი	6	0,80	4,80
4	სტეპლერი	30197320	ცალი	2	4,2	8,40
	სულ:					465,70

2.2. ღირებულება შეადგენს 465,70 (ოთხასსამოცდახუთი და სამოცდაათი თეთრი) ლარს.

2.3. შესყიდვის დანაყოფის კოდებია (CPV): 30100000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი პროდუქციის ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“) შეადგენს **465,70** (ოთხასამოცდახუთილარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს.

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს.

4.2. მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი უფლებრივად ან ნივთობრივად უნაკლოა და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

5.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ქუთაისი გუგუნავას №2, შემსყიდველი აწარმოებს მიმწოდებელი საკუთარი სახსრებით და ტექნიკური საშუალებებით;

6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო და ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

6.3. საქონლის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან შპს ,,პარკინგსერვისის“ ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით.

6.4. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1. შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება ავანსად ან მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

7.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ საქონლის ღირებულება;

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4. მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2. მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. მუხლში აღნიშნული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი“ ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ;

8.3.4. აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.3.5. საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

8.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება;

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების შეწყვეტის შესახებ;

9.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებლი გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი.

9.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე;

9.4.1. თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.4.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისთვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

10.2 ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

12. დავების და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოლაპარაკების დღიდან **10 (ათი) დღის** განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს ,,პარკინგსერვისი“ დირექტორი ავთანდილ გამრეკლიძე გელა გაბუნია	**შ.პ.ს „დაიმერი“** დირექტორის: ვალერიან ფურცხვანიძე
მის: ქ.ქუთაისი, გუგუნავას №2	მის: ქ.ქუთაისი,გრიშაშვილის #9
ს/ნ: 412711230 ტელ: 0431 310 310 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი'' ქუთაისის ფილიალი კოდი: TBCBGE22 ანგ. № GE67 TB79 0693 6080 1000 06	ს/ნ: 212834806 ტელ: 599 157 017 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE23 ანგ. № GE31 TB03 0000 0041 4679 50

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 2 თებერვალი 2023 წ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შ.პ.ს. პარკინგსერვისის დირექტორი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „დაიმერ"–თან 2023 წლის 2 თებერვალს გაფორმებულ №16 ხელშეკრულებასთან მიმართებაში მისი მხრიდან არ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი.

შ.პ.ს. „პარკინგსერვისის
დირექტორი: ავთანდილ გამრეკლიძე

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ქუთაისი 2 თებერვალი 2023 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ დასახელებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს ,,პარკინგსერვისის“ მიერ 2023 წლის 2 თებერვალს შპს „დაიმერ“-თან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების №16 ხელშეკრულებით შესყიდული მომსახურების შესყიდვაში და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე
პასუხისმგებელი პირი

ლოჯისტიკის სპეციალისტი

ელგუჯა ჯინჭარაძე

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.